ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N54

25.07.2025 წელი
14:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ოთახი 3-01

მიმდინარე წლის 25 ივლისს, 14:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გურამ ოქროპირიძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ოთარ გრიგოლია** (კომისიის წევრი) და **შოთა გრიგოლია** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი **სერგო ბირკაძე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 4 (ოთხი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-0325205134-03, 24.07.2025წ.),*
   მომხსენებელი - ლევან მიქავა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.
2. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციას" (ს.ნ.: 206344972) შორის 2020 წლის 25 თებერვალს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და ა(ა)იპ „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის" (ს.ნ.: 206344972) მიმართ რიგ ღონისძიებათა განხორციელების საკითხის შეთანხმების შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-032520531-03, 24.07.2025წ.),*

მომხსენებელი - სერგო ბირკაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი.

3. **ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი N11ა-ში არსებული 10327 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.12.01.004.037) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თბილისი ბავშვთა განვითარების ფეხბურთის ასოციაციისთვის" (ს/ნ: 412792214) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით, გადაცემის შეთანხმების თაობაზე"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-032520527-03, 24.07.2025წ.),*

მომხსენებელი - სერგო ბირკაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტში შესატანი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ წარუდგინა.

ლევან მიქავა - მოგესალმებით, წარმოგიდგენთ 2025 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტს. მოგეხსენებათ, რომ ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 77 111,4 ათასი ლარით, აქედან ძირითადი ნაწილი, გახლავთ 48 711,4 ათასი ლარი, რომელიც ცენტრალური ბიუჯეტიდან მიზნობრივი ტრანსფერის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ჩაირიცხა, კერძოდ საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების განსახორციელებლად, რაც რაიონების მიხედვით გადანაწილებულია 38 872,0 ათასი ლარით, აღნიშნულის გათვალისწინებით ბიუჯეტს დაემატა შესაბამისი პროგრამა/ქვეპროგრამები. დელეგირების ფარგლებში ჩარიცხული თანხიდან მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა გახლავთ 9 000,0 ათასი ლარი, დანარჩენი 800,0 ათასი ლარი, კი ადმინისტრაციული ხარჯები, ხელფასები, საწვავი და ა.შ. რაც შეეხება დანარჩენ თანხებს, ეს გახლავთ შიდა ეკონომიების ხარჯზე მიღებული სახსრები. სხვა შემოსავლების ნაწილში არაკლასიფიცირებული შემოსავლები იზრდება 13 000,0 ათასი ლარით, არაწარმოებული აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლები გახლავთ 5 000,0 ათასი ლარი, გასული წლის ნაშთი შეადგენს 10 400,0 ათას ლარს, ასევე ბიუჯეტში შიდა რესურსებით მოვიძიეთ 7 300,0 ათასი ლარი ადმინისტრაციის ხარჯებიდან და სესხებიდან 9 380,0 ათასი ლარი, რომლებიც შესაბამისად სხვადასხვა პრიორიტეტშია გადანაწილებული. ცვლილების შემდეგ დედაქალაქის ბიუჯეტი იზრდება და მთლიანობაში შეადგენს 2 348 609,0 ათას ლარს. კონკრეტულად თუ, გამოვყოფთ სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებას, სპორტული ღონისძიებები იზრდება 1 400,0 ათასი ლარით რიგი პროექტების, ა(ა)იპ-ების და ფედერაციების ხელშეწყობის მიზნით. სპორტული დაწესებულებების მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება იზრდება 850,0 ათასი ლარით, რაც მოხმარდება ყინულის მოედნის და ტანვარჯიშის სასახლის რემონტის ხარჯებს. ასევე ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა იზრდება 350,0 ათასი ლარით, თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრების ხელშეწყობა იზრდება 718,0 ათასი ლარით.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საკითხი,

მომხრე - გურამ ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ოთარ გრიგოლია - (3),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - შოთა გრიგოლია - (1).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი ა(ა)იპ საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულებაში ცვლილებების შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა წარუდგინა.

სერგო ბირკაძე - მოგესალმებით, მოგეხსენებათ, რომ საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციას 2020 წელს გადაეცა ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ლილოს ტერიტორიაზე არსებული 91 642.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სადაც ხუთი წლის განმავლობაში უნდა მოეწყოთ სპორტული ინფრასტრუქტურა, კერძოდ კი ავტოდრომი, შესაბამისი დამხმარე შენობა ნაგებობებით. ფედერაციამ განახორციელა ინვესტიცია და მოაწყო ვალდებულების ფარგლებში გაწერილი სპორტული ინფრასტრუქტურის ძირითადი ნაწილი, მაგრამ რამდენიმე შენობა-ნაგებობა ბოლომდე დასრულებული არ გახლავთ. ქონების შემძენის მიერ საპრივატიზებო ვალდებულებების შესრულების ვადის დარღვევა გამოწვეულია კომპლექსის მშენებლობის პროცესში წარმოშობილი და გამოვლენილი შემაფერხებელი გარემოებებიდან გამომდინარე. კერძოდ, ქონების შემძენის განმარტებით, მიუხედავად Covid-19 პანდემიისა, პროექტის პირველი ნაწილი საწვრთნელი და საშეჯიბრო ტრასა მოეწყო 2022 წელს და დღემდე ფუნქციონირებს. მოწყობილი ინფრასტრუქტურით უკვე 3 წელია აქტიურად სარგებლობენ, როგორც რიგითი მოქალაქეები, ისე თავად ქონების შემძენი. პროექტის მიმდინარეობისას საჭირო გახდა პრივატიზებული ქონების 2 ნაწილად გამიჯვნა, ვინაიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე უნდა გაიაროს კახეთის ჩქაროსნულმა მაგისტრალმა, რის გამოც, სამშენებლო პროექტი განხორციელდება გამიჯვნის შედეგად წარმოშობილ ძირითად საკადასტრო ერთეულზე. ასევე, ამ ეტაპზე საპროექტო სამუშაოები დასრულებულია და მიმდინარეობს წარმოება სანებართვო დოკუმენტაციის

შეთანხმებაზე. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, თბილისის მერიამ გადაწყვიტა საავტომობილო სპორტის ფედერაციის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება, კომპლექსის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში მიღების ვადის გახანგრძლივება 2 წლით, 2027 წლის 25 თებერვლამდე.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციას“ (ს.ნ.: 206344972) შორის 2020 წლის 25 თებერვალს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და ა(ა)იპ „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის“ (ს.ნ.: 206344972) მიმართ რიგ ღონისძიებათა განხორციელების საკითხის შეთანხმების შესახებ“ საკითხი,

მომხრე - გურამ ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ოთარ გრიგოლია - (3),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - შოთა გრიგოლია - (1).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციას“ (ს.ნ.: 206344972) შორის 2020 წლის 25 თებერვალს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და ა(ა)იპ „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის“ (ს.ნ.: 206344972) მიმართ რიგ ღონისძიებათა განხორციელების საკითხის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს

დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი N11ა-ში მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით თბილისის ბავშვთა განვითარების ფეხბურთის ასოციაციისთვის გადაცემის შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა წარუდგინა.

სერგო ბირკაძე - რაც შეეხება დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხს, დავით გურამიშვილის ჩიხი N11ა-ში არსებული 10 327 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის უზუფრუქტით ფორმით გადაცემას ა(ა)იპ თბილისის ბავშვთა განვითარების ფეხბურთის ასოციაციისთვის. აღნიშნული სპორტული ინფრასტრუქტურა ადრე გადაცემული იყო ამპუტანთ ფეხბურთელთა ფედერაციისთვის, რომელთაც ჰქონდათ გარკვეული ვალდებულებები

მოვლა-პატრონობის და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის კუთხით, მაგრამ აღნიშნულ დროში ვერ მოახერხეს მათი შესრულება და უზუფრუქტის ვადაც გაუვიდათ. რის შემდგომაც მოგვმართა თბილისის ბავშვთა განვითარების ფეხბურთის ასოციაციამ, მას რეკომენდაცია გაუწია, მერიის შესაბამისმა სამსახურმაც და მათ გადაეცემათ ოთხი წლის ვადით მოვლა-პატრონობის უფლებით, თუმცა შესასრულებელი პირობები პირდაპირ იქნება გაწერილი. ასოციაცია ვალდებულია არაუგვიანეს 9 თვის ვადაში მოახდინოს, ტერიტორიაზე საფეხბურთო მოედნის საფარის მოწყობის, განათებისა და გარე შემოღობვის სარეკონსტრუქციო სამუშაოები. ახალი გასახდელებისა და სველი წერტილების მოწყობის მიზნით უნდა განახორციელონ არანაკლებ 419 913,00 ათასი ლარის ინვესტიცია. არაუგვიანეს 18 თვეში, საფეხბურთო მოედანზე უნდა მოეწყოს ახალი 500 ადამიანზე გათვლილი ტრიბუნა არანაკლებ 70,0 ათასი ლარის ინვესტიციით. ასევე, ყოველთვიურად უსასყიდლოდ დაუთმოს თბილისის მუნიციპალიტეტს ღონისძიებების ჩასატარებლად 30 საათი დრო. მთლიანობაში ორგანიზაცია იღებს ვალდებულებას 18 თვის ვადაში უზრუნველყოს სხვადასხვა სამუშაოების წარმოება, ჯამურად 719 913,00 ათასი ლარის ინვესტიცია.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი N11ა-ში არსებული 10327 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.12.01.004.037) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თბილისი ბავშვთა განვითარების ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ: 412792214) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით, გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი,

მომხრე - გურამ ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ოთარ გრიგოლია - (3),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - შოთა გრიგოლია - (1).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი N11ა-ში არსებული 10327 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.12.01.004.037) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თბილისი ბავშვთა განვითარების ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ: 412792214) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით, გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გურამი ოქროპირიძე